



Nexia International-ის
წევრი



ევროპის
ეუროკომისი
სადაზღვეო კომისია

სს „სადაზღვეო კომისია ევროკომის ჯორჯია“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სს სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

6

7

8

9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	10
3. წმინდა გამომუშავებული პრემია.....	22
4. ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	23
5. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმომობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები	24
6. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი	26
7. შვილობილი კომპანიების გაყიდვით მიღებული მოგება.....	26
8. სხვა შემოსავალი და ხარჯები.....	26
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	27
10. გაუფასურების ხარჯი	27
11. აკვიზიციის ხარჯი, ნეტო	27
12. წმინდა მოგება კურსთა შორის სხვაობიდან.....	28
13. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	28
14. ფული და ფულის ეკვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ.....	28
15. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	29
16. სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტები.....	29
17. მოგების გადასახადი	29
18. ძირითადი საშუალებები	31
19. საინვესტიციო ქონება	31
20. სხვა აქტივები.....	32

21. სააქციო კაპიტალი	33
22. სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	33
23. მიღებული სესხები	33
24. საიჯარო ვალდებულება	33
25. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	33
26. საგადასახადო ვალდებულებები	33
27. პირობითი ვალდებულებები	34
28. რისკების მართვა	34
29. გარიგებები და კავშირებულ მხარეებთან	44
30. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	45

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯიას აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს
პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სააქციო საზოგადოება „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯიას“ (შემდგომში „ჯორუფი“) ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების კოსნოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

როგორც ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნა 15-შია ახსნილი, ჯგუფმა არ განახორციელა ვადაგადაცილებული გადაზღვევის მოთხოვნის გაუფასურება, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს. აღუფი ვალდებული იყო შეეფასებინა აღნიშნული მოთხოვნის გაუფასურება, რაც შესაბამისად იმოქმედებდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის აღუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე, საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით (იზილეთ განმარტებითი შენიშვნა 4, ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება), თუმცა არსებობს არსებითი გააგრძელება, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს ჯგუფის უნართან დაკავშირებით, რომ ის საქმიანობას ადეკვატურად არ არის განმარტებული ეს საკითხი.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით კასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტერის ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებით.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი განვითარება ამ აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

Closer to you

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვდენილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურებაზე.

Closer to you

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ასენა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ზევალება ჩვენს შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადგევატური არ არის - ჩვენი აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსენა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ


მეთვალყურეობაზე პასუხიმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი წაკლობების შესახებ.

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

15 აპრილი, 2021 წელი

თბილისი, საქართველო



Closer to you

სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“ ჯგუფი
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
გამომუშავებული პრემია		22,806	14,459
გადამზღვევლის წილი გამომუშავებული პრემიაში		(6,157)	(2,701)
წმინდა სადაზღვევო შემოსავალი	3	16,649	11,758
საპროცენტო შემოსავალი	6	510	458
საინვესტიციო ქონების საბაზო ღირებულების ცვლილება	18	244	258
შვილობილი კომპანიების გაყიდვით მიღებული მოგება	7	-	560
წმინდა მოგება კურსთა შორის სხვაობიდან	12	-	477
სხვა შემოსავალი	8	3,576	287
სულ სხვა შემოსავალი		4,330	2,040
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	4	(14,452)	(10,443)
გადამზღვევლის წილი ანაზღაურებულ ზარალებში	4	4,005	3,291
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	5	(1,479)	3,684
გადამზღვევლის წილი სხვა სადაზღვევო რეზერვების ცვლილებაში	5	814	(4,379)
წმინდა სადაზღვევო ზარალები		(11,112)	(7,847)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	13	(2,561)	(2,197)
საერთო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	9	(927)	(711)
გაუფასურების ხარჯი	10	(1,858)	(881)
აკვიზიციის ხარჯი, ნეტო	11	(1,754)	(2,027)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	17	(514)	(411)
საპროცენტო ხარჯი	6	(224)	(180)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(1,086)	(333)
წმინდა ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	12	(282)	0
სულ სხვა ხარჯები		(9,206)	(6,740)
ზარალი დაბევრამდე		661	(789)
მოგების გადასახადის სარგებელი	16	456	172
წლიური ზარალი		1,117	(617)
სხვა სრული შემოსავალი			-
სულ წლის სრული (ზარალი) / შემოსავალი		1,117	(617)

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 15 აპრილს:

იაკობ ედომაზვილი
გენერალური დირექტორი

ლევან კაკულია
ფინანსური დირექტორი

ევროინს ჯორჯია
 INSURANCE COMPANY "EUROINS GEORGIA"
 204491344

შენიშვნები 10 – 45 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“ ჯგუფი
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის დოკუმენტით
(ათას ლარში)

აქტივები	შენიშვნა	2020	2019
ფული და მისი ეკვივალენტები	14	1,246	1,141
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	14	6,007	5,435
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	15	5,838	6,676
გადაზღვევის აქტივები	5	4,391	2,556
საგაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტები	16	2,283	-
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	17	3,289	2,833
საინვესტიციო ქონება	19	1,933	1,689
ძირითადი საშუალებები	18	2,195	2,655
სხვა აქტივები	20	5,239	3,566
სულ აქტივები		32,421	26,551
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	21	3,238	3,238
საემისიო კაპიტალი	21	4,390	4,390
გაუნაწილებელი მოგება		2,743	1,626
სულ კაპიტალი		10,371	9,254
ვალდებულებები			
სადაზღვეო კონტრაქტებიდან წარმოშობილი	5	10,129	8,341
ვალდებულებები			
სხვა სადაზღვეო ვალდებულებები	22	5,136	3,789
მიღებული სესხები	23	12	235
საიჯარო ვალდებულება	24	3,193	2,848
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	25	1,880	767
საგადასახადო ვალდებულებები		1,700	1,317
სულ ვალდებულებები		22,050	17,297
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		32,421	26,551

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 15 აპრილს:



შენიშვნები 10 – 45 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“ ჯგუფი
კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	საქციო კაპიტალი (შენიშვნა 21)	საემისიო კაპიტალი (შენიშვნა 21)	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	3,125	4,073	2,243	9,441
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	113	317	-	430
წლის სრული ზარალი	-	-	(617)	(617)
2019 წლის 31 დეკემბერი	3,238	4,390	1,626	9,254
წლის სრული შემოსავალი	-	-	1,117	1,117
2020 წლის 31 დეკემბერი	3,238	4,390	2,743	10,371

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 15 აპრილს:

თ. მუხრანიძე
იაკობ ედილაშვილი
გენერალური დირექტორი

ლევან კაკულია
ფინანსური დირექტორი

ევროინს ერთობლივი კონსოლიდირებული ანგარიშგების განუყოფელ ნაწილი

EUROINS INSURANCE COMPANY "EUROINS GEORGIA"

204491344

სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“ ჯგუფი
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2020	2019
სადაზღვევო პრემიის შემოდინება	22,053	13,932
გადინება გადაზღვევის პრემიის მიხედვით	(1,207)	2,235
გადინება სადაზღვევო ზარალების მიხედვით	(15,313)	(10,767)
კვიზიციის ხარჯი	(1,537)	(1,201)
მიღებული რეგრესი	508	241
ფულადი სახსრების გადახდა თანამშრომლებისთვის	(2,969)	(2,585)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	427	290
ადმინისტრაციული და სხვა გადახდები	(946)	(1,792)
წმინდა ფულადი საშუალებები გენერირებული საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე	1,016	353
გადახდილი ჯარიმები	(10)	(3)
გადახდილი გადასახადები	(788)	(741)
წმინდა ფულადი ნაკადები გენერირებული / (გამოყენებული) განგრძობითი საოპერაციო საქმიანობიდან	218	(391)
ფულადი ნაკადები გამოყენებული შეწყვეტილი ოპერაციებიდან	-	(4)
წმინდა ფულადი მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	218	(395)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ვადიანი დეპოზიტებიდან	165	(1)
მირითადი საშუალებების შეძენა	(156)	(302)
გაცემული სესხები, წმინდა	-	(2,466)
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	2,541
ინვესტიციები ფინანსურ ინსტრუმენტებში	-	683
საინვესტიციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	9	455
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული ოვერდრაფტები	(80)	80
მიღებული სესხები, წმინდა	(1)	142
აქციონერებისგან მიღებული ფული	-	430
საფინანსო საქმიანობაში(დან) (გამოყენებული) / გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	(81)	652
ფულის და მისი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	146	712
ფული და ფულის ეკვივალენტები, 1 იანვარი	1,141	397
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულზე	(41)	32
ფული და ფულის ეკვივალენტები, 31 დეკემბერი	1,246	1,141

ხელმოწერილია და წებადართულია გამოსაცემად ხელმდღვანელობის სახელით 2021 წლის 15 აპრილს:

იაკობ ედილაშვილი
გენერალური დირექტორი

ლევან კაკულია

იონანსური დირექტორი

შენიშვნები 10-45 ვერდებზე წარმოადგენს აღნიშვნული ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს



სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება. კომპანია ფუნქციონირებს სათავო ოფისისა და სამი სერვის ცენტრის მეშვეობით და ახორციელებს სხვადასხვა სადაზღვევო მომსახურებას საქართველოში (იხ. მე-4 გ/შენიშვნა). კომპანიის რეგისტრაციის მისამართია მოსაზღვილის ქ. 24, თბილისი, 0162 საქართველო.

კომპანია დაფუძნდა 2005 წელს „სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფის“ სახელწოდებით. 2009 წელს კომპანიამ შეიძინა და შეირწყა სს „სახალხო დაზღვევა“. 2018 წლის ბოლოს, Euroins Insurance Group AD-მ (ბულგარეთი) შეიძინა კომპანიის 50.04% და შეიცვალა კომპანიის სახელი, როგორც სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“.

კომპანიის აქციონერები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან:

	2020	2019
Euroins Insurance Group AD (ბულგარეთი)	50.04%	50.04%
შპს ალთეგი	49.55%	49.55%
IIC Georgia B.V.	0.41%	0.41%
	100.00%	100.00%

ჯგუფის საბოლოო ბენეფიციარები არიან თენგიზ მეზურიშვილი, გრიგოლ ლომიძე, ასენ ჭრისტოვი და კირილ ბოშვი.

კომპანია და შვილობილი კომპანიები ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „ჯგუფი“ (შემდგომში „ჯგუფი“). კომპანია ფლობს შპს „გლობალ ქოლის“ და შპს „შარდენი 2017-ის“ და შპს „აი სი ასისტანს“ 100%-იან წილებს. აგრეთვე კომპანია ფლობს შპს „ლიგალ ინშურეს გრუფ“-ის 50%-ს თუმცა ეს კომპანიები არ ფუნქციონირებენ წლების განავლობაში. 2019 წლის 28 მარტს კომპანიამ გაყიდა 100%-იანი შვილობილი - შპს აგარაკი (შვილობილი).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(A) ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც მაღაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია იყენებს ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ დროებითი განთავისუფლების მიდგომას, შესაბამისად, კომპანიას დაგეგმილი აქცეს, რომ ფასს 9 სრულად დანერგოს 2023 წლის 1 იანვრიდან.

წინმდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებსა და განმარტებით შენიშვნებს. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება წარდგენილა ლიკვიდურობის მიხედვით.

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვაგვარად არ არის აღნიშნული. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეების შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება,

**სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმეორებული შენიშვნები (გაფრქველება)

ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიღებობის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ჯგუფი ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, ამასთან ჯგუფს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგრამარეობით გააჩნია გადაზღვევის მოთხოვნა, რომლის დაფარვაც არ მოხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. აღნიშნული აქტივის სრულად გაუფასურების შემთხვევაში ჯგუფმა შესაძლებელია ვერ დააკამაყოფილოს საქართველოს კანონის დაზღვევის შესახებ კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნა. მოუხედავად ამისა ჯგუფის მენეჯმენტი მიზნებს, რომ აღნიშნული მოთხოვნის ნაწილის 928 ათასი ლარის ოდენობით დაიფარება 2021 წლის 31 მარტამდე (იხილეთ გ/შ 30), ხოლო დარჩენილ თანხაზე გაფორმდება დამატებითი შეთანხმება გადმზღვევ კომპანიასთან, რომლის საფუძველზე მოხდება გადამზღვევი კომპანიის ვალდებულების აღიარება და შესაბამისად მოთხოვნა სრულად დაიფარება არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა, აღნიშნულის გათვალისწინებით ჯგუფი დააკამაყოფილებს კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნას. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფმა 2020 წელი დაასრულა მოგებით და წინა წლებთან შედარებით ჯგუფის შემოსავლის მაღალი ზრდის მაჩვენებელი გააჩნია, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ აღნიშნული საკითხი ზეგავლენას არ იქმნიებს ჯგუფის სამომავლო ფუნქციონირებასა და განვითარებაზე.

(B) ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ჯგუფი იყენებს ყველა შესაბამის სტანდარტს და ინტერპრეტაციას, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშებო პერიოდისთვის.

ჯგუფს არ გამოუყენება ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2020 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის. ეს ეხება IFRS 9 ფინანსურ ინსტრუმენტებსაც, ჯგუფმა გამოიყენა დორებითი გამონაკლისი ამ სტანდარტის მიღებაზე (იხილეთ ქვემოთ).

სადაზღვევო კომპანიებს აქვთ საშუალება, 2023 წლამდე გააგრძელონ ბასს 39-ის გამოყენება (წაცვლად IFRS 9-ისა). 2017 წლის მაისში გამოიცა IFRS 17 სადაზღვევო კონტრაქტები, რომელიც 2021 წლიდან ჩაანაცვლებს IFRS 4-ს.

შემდეგი ბუღალტრული სტანდარტები და ინტერპრეტაციები ჯგუფისთვის ყველაზე რელევანტურია:

- ცვლილებები ფასს 4-ში სახელწოდებით ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება ფასს 4 სადაზღვეო კოტრაქტები (გამოცემული 2016 წლის სექტემბერში) -თან მიმართებაში - ცვლილებები ეფექტური პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან და შემდგომ, ყველა მზღვეველს აძლევს შესაძლებლობას აღიარონ მერყეობები ფასს 9-ის გამოყენებისგან სხვა სრულ შემოსავალში, ვიდრე მოგება ზარალშ, სანამ დაინერგება ფასს 17 (გადაკვეთის მიღომა). ასევე იმ კომპანიებს რომელთა საქმიანობაც ძირითადად დაკავშირებულია დაზღვევასთან, აქვთ უფლება არ გამოიყენონ ფასს 9 2023 წლამდე, შესაბამისად გაგრძელონ იას 39-ის გამოყენება.
- ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები (გამოიცა 2014 წლის ივლისში) - ჯგუფისთვის ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იას 39-ს (და ფასს 9-ის ყველა წინა ვერსიას), ეფექტურია პერიოდებისთვის 2023 წლის 1

სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

იანვრიდან და შემდგომ. ის მოიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციასთან, შეფასებასთან, გაუფასურებასთან და აღიარების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

- ფასს 9 მოითხოვს, ყველა ფინანსური აქტივის შემდგომ შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით (მოგება ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში), დამოკიდებული მათ კლასიფიკაციაზე რომელის დაფუძნებულია მათი ფლობის ბიზნეს მოდელზე ფულადი ნაკადების მახასიათებლების მიხედვით.
- ფინანსური ვალდებულებებისთვის, მეტად მნიშვნელოვანი გავლენა ფასს 9-ზე დაკავშირებულია იმ შემთხვევებთან როდესაც გამოყენებულია სამართლიანი ღირებულების ოფიციალური რისკით გამოწვეული ცელილება ფინანსური ვალდებულების სამართლიან ღირებულებაში, რომელიც აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (მოგება ზარალის ნაცვლად), გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ხსენებული გამოიწვევს ბუღალტრულ შესაბამობას.
- ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის, ფასს 9-ს შემოაქვს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების“ მოდელი დაფუძნებული ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების აღიარებაზე, აღარ არის საჭირო ობიექტური მტკიცებულების ქონა საკრედიტო გაუფასურების აღიარებისთვის.
- ჰეჯირების შემთხვევაში, ფასს 9-ზე შემოაქვს მნიშვნელოვანი განახლება, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებს აძლევს საშალებას უკეთესად ასახავდეს თუ როგორ ხორციელდება რისკის მართვის საქმიანობა ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირების ქსპოზიციის დრო.
- აღიარების შეწყვეტის პირობები მირთადად უცვლელია რაც არის ას 39-ში.
- ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები (გამოვემული 2017 წლის მაისში) - სტანდარტი ანაცვლებს ფასს 4-ს. ეფექტურია პერიოდებისთვის 2023 წლის 1 იანვრიდან და შემდგომ (ადრეული გამოყენება წევადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გამოყენებულია ფასს 9 და ფასს 15), მოითხოვს სადაზღვევო

ვალდებულებები იზომებოდეს მიმდინარე შესრულების ღირებულებით და უზრუნველყოფს უფრო ერთგვაროვან გაზომვას და წარდგენას ყველა სადაზღვევო კონტრაქტისთვის. ეს მოთხოვნები შექმნილია სადაზღვევო ხელშერკულებების თანმიმდევრული, პრინციპზე დაფუძნებული აღრიცხვის მიზნით, რომელიც საფუძვლს აძლევს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შეაფასონ სადაზღვევო ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს მსგავსი პრინციპები იყოს გამოყენებული გადაზღვევის და საინვესტიციო ხელშეკრულებებზე, რომლებშიც არის დისკრეციული მონაწილების მახასიათებლები.

(C) კონსოლიდაციის საფუძველი

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და შვილობილი კომპანიების შედეგებს, ფულად ნაკადებს, აქტივებსა და ვალდებულებებს.

შვილობილი კომპანია არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც დედა კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც დედა კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვითება მთლიანად.

კომპანიამ შეწყვიტა ინვესტიციის აღიარება შვილობილ კომპანიაში - შპს აგარაკი, 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდში, კომპანია ფლობს მხოლოდ არაფუნქციონირებად შვილობილ კომპანიებს 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის შვილობილი კომპანიებ არ ფუნქციონირებენ, არ გააჩნიათ აქტივები და ვალდებულებები, კომპანიის ინდივიდუალური ანგარიშგება არ განსხვავდება ჯგუფის კონსოლიდირებული ანგარუშებისგან.

სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაყრდელება)

(D) ერთობლივი საქმიანობა: ერთობლივი ოპერაცია

ერთობლივი საქმიანობა ისეთი საქმიანობაა, რომელსაც ერთობლივად აკონტროლებს ორი ან მეტი მხარე. ერთობლივი ოპერაცია ისეთი ერთობლივი საქმიანობაა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ საქმიანობაზე, გააჩნიათ ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივებზე უფლებები და პასუხისმგებლობა - ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე (განსხვავებით ერთობლივი საწარმოსგან, სადაც მხარეებს აქვთ უფლებები საქმიანობის წმინდა აქტივებზე). როდესაც ჯგუფი არის ერთობლივი ოპერატორი ერთობლივ ოპერაციაში, ის ამ ოპერაციაში მისი ინტერესის გათვალისწინებით აღიარებს: (ა) თავის აქტივებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივ აქტივებში; (ბ) თავის ვალდებულებებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივად აღებულ ვალდებულებებში; (გ) თავის ამონაგებს, რომელიც მიიღო ერთობლივი ოპერაციის შედეგად წარმოებული პროდუქციის თავისი წილის გაყიდვიდან; (დ) თავის წილს ერთობლივი ოპერაციის შედეგად წარმოებული პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებში; და (ე) თავის ხარჯებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივად გაწეულ ხარჯებში.

(E) სადაზღვევო შემოსავლების და ხარჯების აღიარება

მოზიდული პრემია

ბრუტო სადაზღვევო მოზიდული პრემია შედგება საანგარიშგებო პერიოდში გაფორმებული კონტრაქტების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში მისაღები პრემიისგან. მათი აღიარება ხდება პოლისის ამოქმედების თარიღში. ეს პრემია მოიცავს წინა სააღრიცხვო პერიოდებში მოზიდული პრემიის კორექტირებას, რომელიც გახორციელდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

გამოუმუშავებელი პრემია არის წლის განმავლობაში მოზიდული პრემიის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. გამომუშავებული პრემია გამოითვლება ყოველდღიური სიხშირით პროპორციულად. მომდევნო პერიოდებთან დაკავშირებული პროპორცია გადავადებულია, როგორც გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (იხ. ამ გ/შენიშვნის G ნაწილი).

გადაზღვევის პრემია

ბრუტო გადაზღვევის პრემია შედგება საანგარიშგებო პერიოდში გაფორმებული კონტრაქტების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში გადასახდელი პრემიისგან. მათი აღიარება ხდება პოლისის ამოქმედების თარიღში.

ეს პრემია მოიცავს წინა სააღრიცხვო პერიოდებში აღიარებული პრემიის კორექტირებას, რომელიც გადაზღვევის პრემია გამოითვლება იმ სადაზღვევო პოლისის შესაბამისად, რომლის რისკის გადაზღვევაც ხდება.

სადაზღვევო ზარალები

სადაზღვევო ზარალები მოიცავს ყველა იმ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარ ზარალს, რომლებიც მოხდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, ისინი იყო განცხადებული თუ არა. ამ ზარალების გამოთვლისას გაითვალისწინება მათი დარეგულირების პირდაპირი ხარჯები, ანაზღაურებები (რეგრესი, გადარჩენილი ქონება) და წინა პერიოდების ზარალების კორექტირება.

ს „სადაზღვეო კომპანია უვროინს ჯორჯია“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაცრძელება)

(F) ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფმა ფინანსური აქტივები დააკლასიფიცირა, როგორც:

- სესხები და მოთხოვნები - არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ეს აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქნილი ზარალი. როგორც წესი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო ნაშთები და ფული კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტები - არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა დაფარვის ვადამდე შენარჩუნების განზრახვა აქვს ჯგუფს. სესხების და მოთხოვნების მსგავსად, ეს აქტივებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქნილი ზარალი.
- ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში - ფინანსური აქტივები მფლობილი სავაჭროდ, რომელთა ფლობაც გამიზნულია ხანმოკლე ვადით ან რომლისთვისაც არსებობს უახლესი მოგება ვაჭრობის შედეგად.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს ფინანსურ აქტივებს გაუფასურებაზე. ფასდება, ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ობიექტური სამხილი შესაძლოა იყოს კონტრაგენტის ფინანსურ პრობლემები, ხელშეკრულების დარღვევა, მსესხებლის გაკოტრების აღმათობა, ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო, და სხვა. სადაზღვევო პრემიის მოთხოვნების (იხ. ქვემოთ) შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურად არ ხდება გაუფასურების შეფასება, ჯგუფი აფასებს გაუფასურებას კოლექტიურად, წარსულ გამოცდილებაზე და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით. საბალანსო ღირებულება მცირდება საეჭვო ვალების რეზერვის გამოყენებით. ამ რეზერვის ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ბასს 39-ით დაგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება.

სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფს არ დაუკლასიფირებია ფინანსური ვალდებულება, როგორც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ყველა სხვა ვალდებულება აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როგორც წესი, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და მიღებული სესხები კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან ვალდებულება ზუსტადა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

დაზღვევასთან დაკავშირებული აქტივები

- სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა არის გამომუშავებული (გადახდის ვადადამდგარი) და გამოუმუშავებელი პრემიების მოთხოვნის ჯამი.
- მოთხოვნა გადამზღვევლისგან არის გადამზღვევლის წილი გადასახდელ ზარალებში.
- გადაზღვევის აქტივები წარმოადგენს გადამზღვევლის წილს სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში.
- რეგერსის მოთხოვნა არის მესამე მხარეებისგან მოთხოვნილი და მიუღებელი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება.

(G) სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები

სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვს და გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს. გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვი განისაზღვრება ყველა მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი სადაზღვევო შემთხვევის საბოლოო ხარჯის შეფასებაზე დაყრდნობით. ასეთი შემთხვევები შეიძლება იყოს განცხადებული (RBNS) ან განუცხადებელი (IBNR). განცხადებასა და დარეგულირებას შორის არსებული დროის პერიოდის გამო, საბოლოო ხარჯი დაზუსტებით არ არის ცნობილი საანგარიშებო თარიღში. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის (IBNR) დათვლა ხდება წარსული სტატისტიკიდან გამომდინარე.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR) წარმოადგენს მიღებული ან მისაღები პრემიის იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშებო თარიღში ჯერ არ ამოწურულ რისკებთან. UPR აღიარდება კონტრაქტის გაფორმებისას, ამ კონტრაქტის ვადის განმავლობაში მისაღები პრემიის ოდენობით. UPR გამოითვლება შუამავლების საკომისიოს და აკვიზიციის სხვა ხარჯების გამოკლებით.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ზოგად ვალდებულებებს შეადგენს ანგარიშგების თარიღისთვის მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი ყველა მოთხოვნის ერთიანი ხარჯი იმისდა მიუხედავად, განცხადებულია, თუ არა, ასევე მასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარეგულირების ხარჯები და მოსალოდნელი ნარჩენი და სხვა სალიკვიდაციო ღირებულების შემცირება. ვალდებულების გაანგარიშება ხდება საანგარიშებო თარიღით, ფაქტობრივი მოთხოვნების პროგნოზირების სტანდარტული მეთოდებისა და არსებული დაშვებების გამოყენებით ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში. არ ხდება კატასტროფული

სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური აწგარიშება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური აწგარიშების განშარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

შემთხვევების რეზერვის აღიარება. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გასვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას.

რეზერვის აღიარება ხდება ხელშეკრულების მაღაში შესვლისას და პრემიის დარიცხვისას და აღირცხება, როგორც შემოსავალი პრემიიდან ხელშეკრულების პერიოდში, ხელშეკრულების სადაზღვევო სქემის შესაბამისად. ყოველი საანგარიშებო თარიღისთვის აქტიურ პოლისებზე გამოუმუშავებელი პრემიის საბალანსო ღირებულება გამოითვლება სადაზღვევო პერიოდსა და თითოეული სადაზღვევო პოლისის ვადის ამოწურვამდე დარჩენილი დროის საფუძველზე. კომპანია ამოუწურავ რისკს განიხილავს ცალკეული ბიზნეს მიმართულებების წარსული საქმიანობის საფუძველზე, რათა განსაზღვროს საერთო ცვლილება მოსალოდნელ მოთხოვნებში. სხვაობა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს, ზარალის რეზერვსა და მოსალოდნელ სადაზღვევო მოთხოვნებს შორის აღირცხება მოგება-ზარალის ანგარიშებაში.

ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ვალდებულების ადეკვატურობის შემოწება ხდება იმისათვის, რომ დადგინდეს, აღემატება თუ არა მოსალოდნელი ზარალები გამოუმუშავებელ პრემიას. თუ აღმოჩნდება, რომ გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი არის არაადეკვატური, ხდება პრემიის დეფიციტის რეზერვის აღიარება მოგება-ზარალის გამოყენებით.

(H) მირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, მირითადი საშუალებები აღირცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ზარჯს, რომელიც პირდაპირ დაკაფშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

შენობები

5% წრფივი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა

15% წრფივი

ოფისის აღჭურვილობა

20% წრფივი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირცხება პერსპექტიულად.

მირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. მირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, საწარმომ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

კონსლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განხტარულებით შენიშვნები (გაფრმელება)

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად საწარმოშ უნდა შეაფასოს:

